



გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია სსიპ–
ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის
სამუსიკო კოლეჯის დირექტორის
ბრძანებით
N1/39.08.07.2020 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის–ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო
კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის
(შემდგომში „კოლეჯი“) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველებს,
ამოცანებს და ფორმებს.

მუხლი 1. კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველები

1. კოლეჯი საზოგადოებასთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს წესდებით, შრომის
შინაგანაწესით, ამ წესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.
2. ეს წესი განსაზღვრავს კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმებს,
ამოცანებს, უფლებამოსილებას და ანგარიშვალდებულებას.

მუხლი 2. საზოგადოებასთან ურთიერთობის ამოცანები

1. სსიპ სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში მიმდინარე პროცესების და
ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ოპერატიული და სისტემატური
ინფორმირება;
2. მჭიდრო კონტაქტების დამყარება მოქალაქეებსა და ინტერესჯგუფებთან
(არასამთავრობო ორგანიზაციები, დამსაქმებელი ორგანიზაციები, პროფესიული
სტუდენტები, პროფესიული სტუდენტის მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები
და სხვა);
3. კოლეჯის წინადადებების, შენიშვნების, მოსაზრებების დამუშავება, გაანალიზება
და დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდება;
4. კოლეჯის სიახლეების, სამომავლო პროექტების და ღონისძიებების თაობაზე
საზოგადოების ინფორმირება;
5. კოლეჯის პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების
მასწავლებლების ინფორმირება სწავლის მეთოდებისა და საგანმანათლებლო
პროცესის სიახლეებთან დაკავშირებით;

6. კოლეჯის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების ადმინისტრირება.

მუხლი 3. საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები

1. კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პირადად, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ორგანიზების გზით, ისე კოლეჯის საქმიანობის თაობაზე, ანგარიშების წარდგენის გზით, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის;
2. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კოლეჯს მიმართოს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. კოლეჯი ვალდებულია საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებული ინფორმაცია გასცეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და ვადებში. დაუშვებელია პერსონალური მონაცემების, კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გაცემა გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.
3. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის ადამიანური რესურსების მენეჯერი.
4. კოლეჯი საზოგადოებასთან ურთიერთობისას უნდა იყვეს გამჭვირვალე და საქმიანობის განხორციელებისას მოქმედებდეს ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვით.

მუხლი 4. კოლეჯის ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის მართვა

1. კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის გამართულ მუშაობას.
2. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ხარისხის უზრუნველყოფის დამხმარე სპეციალისტთან ერთად უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი სიახლეებისა და ღონისძიებების თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის კოლეჯის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში დროულად განათავსებას.
3. კოლეჯის ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს სამართლებრივი აქტები და მასში შესული ცვლილებები, რომლებიც იქნება საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისათვის.